

ქართული  
საზღვროთმცხე

# ნიშადურნი



№ 33

„ნიშადურის“ შემდეგი ნომრები გამოვა

№ 33

კვირაში ორჯერ

- სუთვაბათობით და
- კვირაობით.

) წლიური ფასი 5 მან. ნახევარის წლით 3 მან.

სააღდგომოთ წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება **ნობათად**

**ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი**

და „ნიშადურის კრებული“ (1 და 2 წიგნი).

## ქართველი მწერლები და მოღვაწენი



გიორგი ორბელიანი

(25 წლ. გარდაცვალების ბამო—21 მარტი 1883 წ.).

### ჩემს მემობარს

დამატებო უენმა წერილმა,  
როგორც ფუტკარმა თაფლითა!  
გულში რაც სევდა მებადა  
სულ გამიქარწყლა... დაფლითა  
მეც საპასუხოდ ავიძერ,  
მელნად ვიხმარე მალამო!  
გულმა, დადგმულმა საწერლად,  
მირჩია: ნუ რას მალამო.

და სულიც მიტომ გიმდერის:  
დღისით მზევე, ღამით მთვარეო,  
მოსხივისიკარე მნათობო,  
მოციმციმ-მოვლვარეო,  
მნათეო ჩემის სიბნელის...  
სხივები მომაყარეო!...  
უენ გამაცოცხლე, უენ მომკალ,  
მეაკვან-მესამარეო!..

მუხა მაყვედრის; „საჩემო  
აგებნა გზა და კვალიო!..  
მე აღარა ვარ, ის არის  
აწ უენი იდეალიო!..“  
მართალი არის!.. უენა ხარ  
ჩემ სიცოცხლეში ყოველი;  
უენით ვივრძენი სიცოცხლე!  
სიკვდილსაც უენგან მოველი!  
მაგრამ რომ მოვკვდე, გახსოვდეს,  
ფეხი დამადგი გულზედა  
და ის მეყოფა მე ძეგლად  
დადგმული სიყვარულზედა.

სოციალ-დემოკრატია და მისი ბელადი — ილემლოგი

ხუთმეტი წელიწადია, რაც ერთი უნიკო მწერალი ზოველინა საქართველოს. ხუთმეტი წელიწადი ღეჭავს იგი უწნაოთ და უხეიროდ მარქსის მოძღვრებას; ხუთმეტი წელიწადია, რაც ამ შრომით იწამლება ჩვენი ქართული ლიტერატურა და აზროვნება.

რას მივაწეროთ ამ მწერლის ასეთი გავლენა და მნიშვნელობა?! ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა არის სიდიადე თვით მარქსისა. ვინც რაც უნდა სთქვას, იგი დიდი და სახელ განთქიული მწერალი იყო, და ვინც პირველად აღიარა თავი მარქსისტად, რა საკვირველია, მარქსის სახელის შარავანდელის შუქი ჯოჯოხთ მაინც მიეფინებოდა მის სახელსაც. მეორე: ჩვენი მოზარდი თაობა ექვემდებარებოდა რუსეთის ინტელიგენციის გავლენას, და რუსეთის ინტელიგენტთა და მუშათა შორის ადვილად გაიკვლია გზა მარქსიზმმა, რადგან ეს მოძღვრება ქადაგებს უკიდურეს პოლიტიკო-ეკონომიურ ცენტრალიზმს. მაშასადამე, მარქსიზმი ჩვენში აუცილებლად უნდა დაბადებულიყო და ამ მოძღვრების ბელადიც ის უნდა ყოფილიყო, ვინც პირველად თავს იღებდა მის ქადაგებას.

ისტორიამ ეს ბედი წილადარგუნა ხსენებულ მწერალს, რომელიც მიუხედავად თავის უნიკობისა, მისგან დამოუკიდებელ პირობათა გამო, შეიქმნა ისტორიულ პირად. როგორ აღამიანებს წამოასკუბებს ხოლმე ისტორია რომელსამე საზოგადო მიმართულების სათავეში! რამდენი სასაცილო შემთხვევა მომხდარა და მოხდება კიდევაც ისტორიაში!

ხსენებული მწერლის ნაწარმოები მთელ ტომებს შეადგენენ, მაგრამ ვერც ერთ მის წერილში ვერ იპოვიოთ ვერც აზრს და ვერც ქეშმარიტებას. 1899 წელს, ე. ი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ექვსი წლის შემდეგ, დამტკიცდა, რომ პირველ ქართველ მარქსისტ მარქსის „კაპიტალიც“ კი არ ქონდა წაკითხული, და არა მგონია, ან ახლა ქონდეს შესწავლილი. შეიძლება ვცდებოდე, ალბათმა ქმნას, მაგრამ რა გამოვიდა: შოთა რუსთაველის თქმის არ იყოს, ვირის გაწვრთნა შეუძლებელია.

მარქსის „კაპიტლში“ აქვს მნიშვნელობა მხოლოდ ზედ-მეტი ღირებულების ანალიზს. ამ ანალიზს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, რაც შეეხება სოციოლოგიურ მხარეს, „კაპი-

ტალში“ დიდი შეცდომებია. და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტარე ჩვენს სოციალ-დემოკრატებს სწორედ ეს შეცდომანი შეუთვისებიათ, მარტოდენ შეცდომებზე ამყარებენ თავის მსოფლ-მხედველობას.

ბევრი მტკიცება არ არის საჭირო, რომ ნათელ-გყოთ ეგრეთ წოდებული „დიალექტიკის“ სიყალბე. ყოველი მოვლენა თავის განვითარების დროს თავის თავს უარ-ყოფსო, სიმრავლე გარდა იქმნება თვისებადო და სხ. და სხ ! უცნაური და საკვირველი როგორ არ არის, რომ ამ გვარ ბოდვას მეცნიერებას ეძახიან! ორი ზომა წყალ-მბადისა და ერთი ზომა მჟავ-მბადისა გარდიქმნებიან წყლის (ორტქლის) ორ ზომად; ნუ თუ წყლის ხსენებული ელემენტები იმიტომ გარდიქმნენ წყლად, რომ სიმრავლე გარდიქმნა ახალ ტანად, თვისებად? განსაზღვრული რაოდენობა სითბოსი გარდიქმნება მექანიკური ენერჯიის განსაზღვრულ რაოდენობად. ენერჯიანი გარდიქმნებიან ერთი მეორედ და ამ გარდაქმნის დროს ამდენი და ამდენი ნაწილი ამ ენერჯიისა გარდიქმნება სხვა ენერჯიის ამდენ ან იმდენ ნაწილად. ეს თავის-თავად ცხადია. მაგრამ რა შუაშია აქ სიმრავლის გარდაქმნა თვისებათ (превращенія количества въ качество), როგორც ბ-ნი პლენხანოვი და მისი დამქაშები ბძანებენ?! ნუ თუ ეს არის მეცნიერება?!

(შემდეგი იქნება)

3. 7.

ო ც ნ ე ბ ა

შორს, მომხიბვლელო ტკბილო ოცნებავ, ვერ გამიტყუებ შენსა ბალნარში! ერთხელვე შენში გაცრუებულსა გადამაჯერებ განა მომხდარში?

ბევრიც იმალო, ამოეფარო ტურფა სახესა უმანკოების, ვით მოგეკარო, ვისურვო ხილვა, ხელით შეხება არარაობის?!

კმარა, მატყუე ჩვილი ბალღით! ახლა გაგარჩევ გაურჩეველსა: მკრთალსა სიმართლეს ჩამოგაშორებ შენს ცრუ მშვენებას ფარისეველსა.

შესაძლოს ნდომით მივეტანები, ხელს არ გაუწვდენ შეუძლებელსა, და დავიტირებ, მწარედ დავცინებ შენს ხელთ დაპყრობის მედგრად მიქბნელსა.

მაშ, გამეცალე, ნუ მირევ გრძნობას, ტკბილო ოცნებავ, ხორც შეუსხმელო! მსურს ნიადაგი მქონდეს ფეხთ ქვეშე, არსებულს მივწვდე, მოძმეს ვუშველო!

დენა მროველი.



ლომი\*)

(სურათის შთაბეჭდილება)

გაჰქრა იმისთვის თავისუფლება,  
რკინის კედლებში დამწყვდეულია,  
მაგრამ არ ჰკარგავს თვის ძლიერებას,  
ტყვეობაშიაც დიდებულია!

მისი თვალები კვლავად ბრწყინავენ:  
კვლავადვე უძგერს მტკიცე გულია;  
ფაფარ აყრილი ყველას აუწყებს,  
რომ ტყვეობაშიც დიდებულია!

ვერ დაუძღურდა დროთა ბრუნვისგან,  
ბრჭყალ-კბილი კვლავად დაბასრულია.  
მათი იმედი გულს შთაუნერგავს  
და ტყვეობაშიც დიდებულია!

იცის რომ საკანს მალე დაღეწავს,  
რადგან კედლები გაჟანგულია...  
ძალას იკრებავს, გულს არ იტეხავს,  
ტყვეობაშიაც დიდებულია!..

დ. ელიოზიშვილი.

მარტი

შე უწყალო და უმსგავსო,  
უდიერო, გიჟო მარტო;  
გსურს რომ ყველა დაგვამწუხრო,  
შენ-ლა დარჩე მარტოდ-მარტო!

უქრი ძალზე, ისერი თოვლ-ჰყაპს  
გსურს ზამთარი განახლო...  
მაგრამ ტყვილად! — გაზაფხული  
არ გეშვება, მოგდევს ახლო...

ამასა გრძობ და სულის თქმაც  
შიშმა უფრო გაგიძნელა,  
რომ ავღრების დღეთა რიცხვი  
გიმოკლდება ნელა-ნელა...

დღე, იქროლე, სანამ კიდევ  
შენი დღენი არ დათვლილა,  
მოსაწყენი, დაღვრემილი  
შენი სახე არ შეცვლილა!

დღე, იქროლე, იგიჟ-მაჟე,  
დაგვიღონე ყველას გული,  
ველარ დაგვძლევ, ვერას გვიზამს  
შენი ქცევა ვერაგული...

გერი.

ღია წერილი

(ვუძღვნი №18-ს)

დაგავიწყდა განა ის დრო,  
ოდეს ძონძში გახვეული,  
თავ მოხდილი, ფეხ შიშველა  
იჯექ სახლში დამშეული?

ალარ გახსოვს რომ ძმა კაცებს,  
ვისაც ჰქონდა ორი გროში,  
დაღრეჯილი, ვით მთხოვარა,  
ფულსა სთხოვდი შენ იმ დროში?  
არც ის გახსოვს სხვის საწოლში,  
რომ იყავი გახვეული,  
ქვეყნის უსამართლობითა  
გული გქონდა ამღვრეული?..

ეხლა, როცა ტანთ ჩაიცვი  
და იშოვნე ცოტა გროში,  
წარსული სულ დაგავიწყდა  
ვითომ გახდი „კაი ბოვში“?

დღესაც, სწორე იმ დღეშია  
მაშინდელი ძმა კაცები,  
რა დღეშიაც შენ იყავი  
და გივლიდნენ ვით მამები.

მაგრამ ეხლა მათი ჭირი  
არის შენთვის ნეტარება,  
რასაც გეტყვის ერმილიე,  
იგი არი შენთვის მცნება.

ასეთია ფულის წესი,  
ასე უცვლის კაცსა ზნესა,  
მაგრამ სხვისი მზეც ამოვა,  
გეფიცები ჩემსა მზესა.

ნარ-ნარ.

ერთხელც იქნება!..

ერთხელც იქნება ინათებს,  
ეს ჩვენი მხარე ბედშავი  
და გაახარებს ჩაგრულებს,  
მისი სხივები ბრწყინავი!

ერთხელც იქნება იელავს,  
ჯოჯოხეთური ალია  
და სულ მთლად მიღეწ-მოღეწავს,  
რაც კი რამ ცუდი-ავია!..

ერთხელც იქნება იქეჟავს,  
ცა მრისხანე უშიშარი;  
ბორბოტება აღმოიფხვრეს,  
ძალადობას ეცეს ზარი!

პაშა.

\*) „ნიშადური“ № 31 ვერტგეიმერის სურათი „ტყვეობაშიაც დიდებულია“.

ახალი სისტემის საათი.



„ღაქურეთ!!“ კობაკის მათრახის  
რედაქციაში

„ყოფება ბეჭთხვევით გერმანიიდან გადმო-  
ტანილი საათი



ბუშაობს დღემი მარტომ საათს  
ძვირკელს პრემიათ ამოქმედა

„ნიშაღური“



\*\*

განვლო მცირე დრომ სწორედ მას აქეთ,  
რაც რბევა ხალხსა აღარ უგრძენია,  
სიმწრისგან დამხვრჩვალთ გადატაკებულთ  
თვისი დამხობნი ველარ უცენია.

დაჰბერა კიდევ ერთხელ ნიაფმა,  
გამოაფხიზლა მონა-ჩაგრული,  
ძლივს იგრძნო, შველა ერთობაშია,  
მისკენ მიმართა გრძნობა და გული.

აჩუღდი გრძნობავ, გულო ატოკდი,  
ნულარ ჩუმდები, კლავ აქრიალდი,  
სიმართლის დროშა წან გაიძლოღე—  
იბრძოღე ხალხო, კუბოს კარამდი!..

ე.. ბუა.



ძალა ერთობაშია.

მ მ ტ ი ჩ რ მ ბ ს

ეს რა ხალხი მოვლენილა  
საიდგან და სადაური!  
სამშობლორს უარ მყოფნი  
თავის ერის უშაღური!

უსირცხვილოთ უარ ჰყოფენ,  
სამშობლოს და ეროვნებას,  
ცენტრალიზმში დაეძებენ  
ბედშავ ხალხის ხსნას და შვებას.

ალარა სწამთ ჩვენებური,  
სხვისი მოსწონთ, თუნდაც ავი;  
ყოყლოჩობენ, მეტიჩრობენ...

მოაბეზრეს ყველას თავი...  
ვიცნობთ, ვიცნობთ მაგ ყმაწვილებს,  
რა ბიჭებიც ბრძანდებიან:  
ალარა სწამთ იგი ერი,  
ვისი პურითაც ძღვებიან!..

რაჭველი შურდული.

ბ უ ლ ბ უ ლ ს

მწარე ხვედრისგან გულ დაჩაგრული,  
ვისმენ ბუღბუღო, შენს ტკბილს გაღობას  
და მაგ მომხიბლავ ჰანგებში ვბოვებ,  
რალაც იღუმალ სიამოვნებას.

გულის სიღრმემდის სწვდება, ბუღბუღო,  
ეგ ნაზი სტვენა და ხმა ციური;  
კვლავ მსურს სიცოცხლე და მაგიწყდება  
ამაოება ამ ქვეყნიური.

თვით მომაკვდავსაც აღაფრთოვანებს  
ეგ საოცნებო ჰანგთა მოსმენა;  
ბედნიერია, ბუღბუღო, ვარდი,  
რომ მუდამ ატკობს მას შენი სტვენა.


არ ვინატრებდი სხვა რ მ დიდებას,  
არც მსურს ქვეყანას მე ვმფლობელობდე,  
ოღონდ შემიძლოს, ბუღბუღო, შენებრ  
ტკბილი ჰანგებით მსმენელთ ვატკობდე!

ვერტერ.



დაჭრამდე

ეროვნული ხელოვნება



ილია კარგარეთელი

დაჭრის შემდეგ

**ილია კარგარეთელი.**

ქართველმა საზოგადოებამ უწყის, თუ რა უბედურება შეემთხვა ამ ერთი წლის წინედ ილია კარგარეთელს: ჯანსაღი და საღსალამათი კაცი ბნელეთის მოციქულებმა უმიზეზოდ და უაზროდ კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს და სამუდამოდ დაასახიჩრეს. ია კარგარეთელს დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ეროვნული მუსიკის წინაშე. ჯერ კიდევ 1891 წელს, როცა იგი მოსკოვის ფილარმონულ საზოგ. შეგირდად იყო, მოსკოვის ეტნოგრაფიულ საზოგ. თავმჯდომარის პროფესორი მილლერის წინადადებით, კარგარეთელმა წაიკითხა თავისი საინტერესო მოხსენება „ქართული ხალხური სიმღერა და სამუსიკო იარაღები“. ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის მუსიკალურ საზოგადოებაში და ბოლოს დაიბეჭდა კიდევ „მოამბეში“ (1895 წ. მეორე წიგნი). მას აქვე კარგარეთელი დრო გამოშვებით ყოველთვის სწევრდა ქართულს მუსიკაზე როგორც ქართულად ასე რუსულადაც.

ია კარგარეთელი განსვენებული ვლ. აღნიაშვილთან ერთად მუშაობდა ქართული ეროვნული ხოროს მოწყობაზე და ხოროს საქმე ჩვენში ისე არაფინ იცის, რომორც იამ.

1899 წელს ეპისკოპოსებმა ლეონიდა და კირიონმა იას მიანდგეს ეპარქიალური ხოროს განაგება და ორ წელწადს აწარმოებდა ამ საქმეს. 1901 წ. იასვე ჰქონდა მიწდობილი საიუბელეო ხოროს მოწყობა კავკასიის გამოფენის დროს. 1904 წ. მოაწყო ოპერების დადგმა ქართულ ენაზე. და მის მეცადინეობით რამდენიმე ოპერაც დაიდგა.

წ. კ. საზოგ. გამოსცა მისი მუსიკალური კრებული, სადაც მოთავსებულია სახალხო სიმღერები და რომანსები. იას წერილები ქართულ მუსიკაზე და მის ისტორიაზე საფუძვლიანად ითვლება ერთ საუკეთესო გამოკვლევად, რასაც მოწმობენ ისეთი ცნობილინი მკვლევარნი მუსიკისა, როგორც იბოლიტოვ-ივანოვი, კორეშჩენკო, კლენოვსკი და სხვები.

ია კარგარეთელის ინციკატივით და მეცადინეობით დაარსებულ იქმნა ჩვენი ქართული ფილარმონული საზოგადოება. ია დიდხანს მღეროდა და რეჟისორობდა ოპერაში.

ამჟამად კარგარეთელი, მიუხედავად იმისა, რომ ბანახვერებული კაცია (მარჯვენა ხელი და ფეხი უმოძრაო აქვს),

ჩვეულებრივ მუყაითობას არ ღალატობს და კალმით და საქმით მაინც ემსახურება ეროვნულ მუსიკას. ია კარგარეთელი ჯერ ახალგაზდა კაცია—დაიბადა 1870 წ. სოფ. ერთაწმიდაში, ქართლში. თვითონ ია გონებით განვითარებული და მუსიკის მცოდნე და დიდი გემოვნების კაცია.

ამ თვის 23 არტ. საზ. თეატრში დანიშნულია საინტერესო კონცერტი იას სასარბებლოდ. შექველია ქართველი საზოგადოება თანაბრძნობით დაესწრება ამ კონცერტს და მით საშუალებას მისცეს უანგარო მუშაკს თავისა და წვრილ ცოლშვილის დროებით მაინც უზრუნველ ყოფისთვის.



**† მიხეილ ლევანის ძე ჩერქეზიშვილი**

მიშა ჩერქეზიშვილი დაიბადა 17 სექტემბერს 1886 წელს. ბიზანზიაში სწავლის დამთავრების შემდეგ მ. ჩერქეზიშვილი 1903 წ. ბაემგზავრა უმაღლესი ბანათლების მისაღებად პეტერბურგში, სადაც მალე გაიცნო მოწინავე ახალგაზდათა ჯგუფი და მაშინვე საპატიო ადგილი დაიჭირა. ეს ხანა გახურებული მუშაობის დრო იყო; რუსეთის საზოგადოება, რომელსაც საღათას ძილით ეძინა, ძლივს გამოფხიზლდა და მოქმედება დაიწყო. სწორედ ამ ხანებში დაჰბერა „ბაზაფხულის“ პირველმა სიომ. ამოძრავდა მთელი რუსეთი და მასთან საქართველოც, ამისთანა დროს ყოველი



შებნებული, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზდა, თავის ძალ-ღონეს ხალხის გამოღვიძების საქმეს ალევდა. მიწა ჩერქეზიშვილმაც თავგამოდებით დაიწყო მუშაობა, ჩაერია ბრძოლაში და ყველგან, სადაც კი მუშაობდა, მოიპოვა საერთო სიყვარული და ნდობა. მიწა აზრით და გონებით წმინდა წყლის „ესერი“ იყო, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ესერების“, პარტიულ მუშაობაში. 1905 წ. როდესაც მშრომელმა ხალხმა ბრძოლა დაიწყო და ტალღა ტალღად შესტყორცნა ძველ წეს-წყობილებას, მ. ჩერქეზიშვილი მონაწილეობას იღებდა მოწინავე მებრძოლთა რაზმში. 1906 წ. მიწა რამდენიმე ამხანაგთან ერთად ფინლიანდიაში მუშაობს სამხედრო ორგანიზაციის გამომცემთა საქმეზე. მიწა ვერ ასცდა საერთო ხვედრს—იგი დაპატიმრეს და სწორედ ამ ხანებში დაეტყო მას პირველი ნიშნები იმ ავადმყოფობისა, რომელმაც უწყალოდ ბოლო მოუღო. მიუხედავად იმისა, რომ მიწა ავად იყო, იგი ბულმოდვინედ განაგრძობდა მუშაობას, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ თბილისშიაც, თუ რამდენათ იგიწყებდა მუშაობის დროს თავის თავს, მიწა იქიდანა სჩანს, რომ 1907 წ. თუმც ძალზე ავად იყო, მაინც გაემზავრა დელეგატთ „ესერების“ სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე. დაბრუნდა ტფილისში თუ არა ისევ მედგრად შეუდგა მუშაობას. 29 მარტს 1907 წელს მიწა ისევ დაპატიმრეს და მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც შვიდი თვე დაჰყო. ციხეში, რა თქმა უნდა, ძალაზე დასუსტა ისედაც დაუძლურებული ბუნება თავ განწირული მებრძოლისა და ციხიდან ბამოშვების შემდეგ იძულებული შეიქმნა საზღვარბარეთ წასულიყო მორეული ქოქერქის მოსარჩენად. ებ გამგზავრება მით უფრო იყო და აუცილებელი, რომ მიწას ხელმეორედ უპირებდნენ დაპატიმრებას. საზღვარ ბარეთ მ. ჩერქეზიშვილი იყო საქეიმოთ ინგლისურ სანატორიაში ქ. ლეიზენში, სადაც ბარდაიცვალა 5 მარტს.

საზოგადოდ მიწა ჩერქეზიშვილი იშვიათი ხასიათისა და ბუნების პატრონი იყო: მორცხვი და გამბედავი, თავაზიანი და უშიშარი, სიკეთით და სინდისიერებით აღსავსე გრძობა ფაქიზი და გონება მახვილი. ეჭვი არ არის, მიწას სიცოცხლე რომ დასცალ ებოდა, იგი შესაფერ აღბიღს დაიჭერდა ჩვენს უფერულ ცხოვრებაში. განსვენებული მიწა ტრადიციული მებრძოლი იყო. სამოცდა ათიან წლებში მამა მისიც იღებდა მონაწილეობას „მემამბზე ახალგაზდობაში“, რის გამო ციხე და საპყრობილეს ალერსი არა ერთხელ უგემნია.

რა თქმა უნდა, მიწასთანა უანბარო და თავდადებულნი ჰბატუნნი თუ შესძლებენ ჩვენი უგემურ და უფერულ ცხოვრების გაციკროვანებას და მით უფრო სამწუხარო და მწარედ სატირელია მათი დაკარგვა, მათი არ ყოფნა.

მიწას არასოდეს არ დაივიწყებს არც ის პარტია, რომელსაც სული შეაღია და არც მისი ამხანაგები, რომელთა შორის პირველი იყო.

ს.—რ.

**მიწა ჩერქეზიშვილის ხსოვნას.**

И скоро миру лучший плодь  
Весна иная принесеть.  
Байронъ.

დაუვიწყარო ამხანაგო! შენმა სიკვდილმა დიანაც დაგვაოსა და დაგვაობლა ყველა შენი თანამშრომელნი..

მეტად დიდი დანაკლისია შენი დაკარგვა, მეტი ტარე მაშინ, როცა წყვდიადისა და ბრუნდების მოქმედებები დარაზმულები სამკედრო-სასიცოცხლო იერიშს გვიპირებენ!..

ვინ გავვიწვევს შენ მაგიერ მეთაურობას, გამხნევებას, მეტრზე გულ-და-გულ მისვლას!?

აი, სწორედ ამასა ესტირით, ამასა ვაგლოხობთ, თორემ სიკვდილი საერთო ხვედრია და ვერავინ გაექცევა მას.

გჯეროდეს ამხანაგო, რომ რაც უნდა მოიღობლოს ცა, რაც უნდა გაბატონდეს ამ ქვეყნად ძალ-მომრეობა, არ ვუღალატებთ შენს წმიდა ანდერძს—განეგარძობთ მუშაობას, უკანასკნელ სისხლის წვეამდე, უკანასკნელ სულის აღმოხდამდე, უკანასკნელ საფლავის კარამდე!

დაე იყოს შენთვის მსუბუქი უცხო მხარეს მიწა, რომლის გულმკერდში იპოვე საუკუნო განსვენება!

მაშ, მშვიდობით დაუვიწყარო ამხანაგო, მიწა!

კოლა-გიორგი.

**მ ა თ ხ ო ვ ა რ ა**

ეჰ, შემობრალეთ საწყალ გლოხაკი,  
მომიგდეთ რამე, ძველი გექნებათ...  
ეგებ დავფარო ჩემი სიტყვით,  
ეგრემც სამება თქვენ შეგეწევათ!..

თქენ ნუ გგონივართ ცრუ მაწანწალა,  
როგორც ამასა ზოგნი სჩადიან...  
არა, მე მიქირს—მცივა და მშიან...  
მე სულ მცირე რამ, ცოტა მწადიან...

მყვანდა მშობლები, მამა ვაჟაკი,  
ჩვენი სახლ-კარი, დიხ ღვივოდა,  
მაგრამ უწყალოდ გავგანადგურეს,—  
ჩვენის ცოდვითა ზეცა იწოდა!..

მას აქეთია ტანჯვით ვმათხოვრობ,  
სხვის ხელს შევეყური, ველი ლუკმა  
პურს...

თუ არ ჩამქრალა თქვენში ღვთაება,  
შემეწიენით, ვისაც რითაც ჰსურს!..

თ. ჭინკაშვილი.



ვას. ივ. ნიკოლაძის ხსოვნას

მორჩა, მოისპო ტანჯვა-ვაება  
აწ განისვენებ შენ ბნელ სამარეს!  
შესწყლა მულმივი შენი წვალება—  
დააკვდა შვილი სამშობლო მხარეს!..  
ალტაცებული სპეტაკი გრძობით  
ებრძოდი მედგრად ჩვენს ბოროტებას!  
შენ იმედობდი ერთობით, ძმობით,  
განახლებდი ქვეყნიერებას! .  
გიმტყუნა ბედმა, მოგისპო შრომა!  
შენი იმედი ღარჩა იმედით  
და შენ წადილთა ასრულება ღღეს  
შენ თანამშრომლებს ერგო ტკბილ-ბედ თ;  
მაშ, განისვენე ძმაო, ტკბილათა:  
მარადი იყოს შენი ხსენება!  
ნეტარება მას ვისაც ხვდა წილათ  
შენებრ სიცოცხლით, თვის უკვდა-  
ვება!..

კონ. ნიკოლაძე.

კულტურულ მუშაობაზე.

II

ჩვენი ფედერალისტები აღარა სუმრბენ! ამათი დაფიქრებული სიტყვა საზოგადოების მკვდრებით აღსადგენად, ამათი რიხიანი დაცვა უზარტო, მეტნიერულ ნიადაგის კულტურულ მუშაობაში და სხვა ამათი კეთილი ზრახვანი და სიტყვანი, რომ მაგონდება, მე მის თა ვარ „გაშ“ დავძინო ჩვენ ზატარა სამშობლოს მუშაკებს...

აი, თუ გნებავთ, ახალი მაგალითი, რომელიც კვლავ გვიდღივებს იმედს: წაიკითხეთ თუ არა 12 მარტს „ამირანის“ მეთაური? აქ ვერ ვხვდებით გამარჯვებულ ყოყინას, სიხარულის ნატამალხაც კი ამის გამო, რომ არაჩვენები „წერა კითხვის“ გამკობისა დასრულდა, ერთობ, ფედერალისტების სურვილისამებრ... ზირ-იქით, მთელი სტატია—დრმა წუხილია, გოდება ჩვენს კულტურულ არაობაზე, ჩვენს ზნებრივ უძღურებაზე, მცირე ძალთა დაქუცმაცებაზე და შენ-ჩემობაზე იქაც-კი, სიცა ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ჩემთვის ცხადია, რომ ფედერალისტებს მოხვდით ის ხმა, რომელიც დიდხანია ჩვენში ყოველ უბნად აღამიანს ეუბნება: „კიარა მისხარობა! ან შეერთდით, ან გასწყდით!“ რამ შეჭკობაა ხალხი 9 მარტს? არა-საზოგადოების გაცოცხლებამ, არა საქრთო მოვალეობის სისინარულა შეგნებამ, არამედ იმავე ზარტიულმა, საქმიშხო „ბუქმა და ნადარამ“!

საერთო საქმე—არა, ეს არ ყოფილა მიზანი ხალხის შეკრების! იცოდნენ, რომ მარქსისტები შეებრძო-

ლებდნენ ფედერალისტებსა და სეირი უნდოდით ენასათ და მონაწილეობაც მიეძლათ, ამისთვის დასმულად და შეკრებულა ჩვენი ყოფილად გამოთქვასებული, უძღური, მკვდარი საზოგადოება, რომელიც სულერთია, იმავე გრძობით და ხალხით დაესწრობდა, თუ გნებავთ, მისურძისა და ჯიბიკრას ჭიდაობას, თუ გნებავთ, ერკემლების დატაკებას..

დაად, დიაგნოზი ჩვენის უზომო უბედურებისა, ჩვენის კულტურულ უძღურებისა, ფედერალისტებმა მონახეს, როგორც იყო... თუმატა ჭარბად კი ძვირად-დავიჯდა ეს შეგნება, ეს ერთად ერთი ნაყოფი დე მონსტრატული რევოლუციისა, მაგრამ მადლობა დემრთს! რაც იყო—იყო, გვიანია საყვედურები და მათ მოვიშორებთ გულიდან, თუ ფედერალისტები მარტო დიგნობს არ დასჯერდებიან და წამადსაც უშოგნიან ჩვენს საზოგადოებრივ უძღურებას, არაობასა.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს წამალი არადა სხანს... ძალისა და სიცოცხლის შთაბერვა საზოგადოებაში,— თ, ბატონებო, ეს სუმრბა რადიდაა, აქ ზარტიული სიფიცხე თუ სიტყვქე ვერას გახდება, ეს ფრად ძნელი საქმეა, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე ყველა ზარტიების ყველა გულუხვი დაზირებანი ერთად! თქვენ შეგიძლიანთ თათრების სახელით ეხლავე ქალთა ემანიპაციას აღიაროთ, თქვენ შეგიძლიანთ ყველა ქართვულს გინდ ზრდელტარისაცა, გინდ „სოციალიზაცია“ დადოცხინოთ, მაგრამ ეს სულ სხვა ხილია, ბატონებო, ეს „კულტურული მუშაობა უზარტო, მეტნიერულ ნიატზე!“ და მე ვშიშობ, რომ ვაი თუ აქაც სიტყვათა შადრევანს და ცარიელა ქადაგს ვერ გავცდეთ და საფუძველიცა მაქვს ამ შიშისა. რამ უნდა სძლიოს „საზოგადოების გულკრილობასა“, რამ უნდა შეგავერთოს?

რამა და... სიყვარულმაო, წარმოსთქვას ამას წინად „ესფერებსა“. მართლაცა, რა კარგი და რა უბნალო რამეა, ეს საქრთო სიყვარული, თქვენნი ჭირიშეთ! აქ, თქვე დალოცვილებო, თუ ასეთი მარჯვე სერხი იცოდით რათ გვიმდავდით აქამდისინ? მანც რა გვეთქმის ამისთანა უკვდავების წყაროზე იმაზე მეტი, რომ საზღვარი აქვს ყოველ სუმრბას, მერე ამ გაჭირებაში...

ამ ზოგად წამლის კარდა, „ესფერებს“ აქვთ კი დევ იმედი... „წერა-კითხვის“ გამკობისა... აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ მამა-ზამასაც ჰქონდა იმედი წმინდა გიორგისა, მაგრამ თვით ხალხის ხელ-ფეხის განძრევა მამინაც სჭირო იყო და ეხლაცა.

დაახ შესაძლოა, რომ სადმე ბევრ რამეს აკეთებდნენ თავის ძალით სხვა და სხვა კომიტეტები და გამკობანი (მეტადრე თუ საზინიდან ამ მილიარდერების ქისებინ მათთვის მილიონები იზნევა), მაგრამ ჩვენ ყოველ მხრივ უძღურებისა და უზომო გაჭირვების გამო აუცილებელ საჭიროებად ხდება მთელ საზოგადოების შემბა ყოველდღიურ, მუდმივ კულტურულ შრომაში და



ქართველ მარქსისტების განმარტებით წვერობისათვის სრულებით საკმარისი ყოფილა მარტო სურვილი... (ჰაცხა!!!)

ბევრჯვერ შეჭვიცა ერთმა ცხოველმა სიბინძურეს არ მივეკარებო, მაგრამ მოგვხსენებათ „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“.

ოცნება, ან ძაღდაცნება, რადგანაც ხალხი თავის ნებით მხოლოდ ჩვეულებას მისდევს და არა ზარტიულ ზრგ-რამებსა და ძაღად მაცხოვრე ობეკუნებსა. **ნორმა.**

ეს საერთო შრომა მარტო გრძობების მოტანაში არ უნდა გამოიხატებოდეს. შემთხვევითა და იშვიათი ქველმოქმედება, ცალკე ზიარების და ჯგუფების თავდადებული შრომა, — უველა ეს იგივე უადგილო ხუმრობაა ჩვენს ყოფაში...

მაშ რის იმედი უნდა გვქონდეს? რამ უნდა შეგვაერთოს? შესაძლებელია მაინც თუ არა რამე განსაზღვრული საზოგადოებრივი მთლიანობა ჩვენს დროში, რადესაც „კლასთა ბრძოლა“ გაშეუბულია ცხოვრებაშიც, აზრბრუნებაშიც?

მე მხოლოდ ის ვიცი რომ ზირველ დვინობისთვის, მცხეთობას, რაღაცა ზღაპრული ძაღა მიაქანებს ხოლმე დიდძალ უსარდლო ჯარსა მტკვრისა და არაგვის შესართავისკენ...

ისიც ხდება რომ, ეს უცნაური ძაღა მთელ ერს ათქმევიანებს ხოლმე ერთსადა იმავე ნატვრას, მანწონებს ერთსა და იმავე ჩანმუდობას თუ საჭმელსა, ასწავლის მთელ ხალხს ყოფა-ქცევას ჭირში და ღხინში, ჭბადებს გეგმას საერთო შრომისას...

ისიც მაგონდება, რომ ეს საერთო ძაღა ახალწლის განთიადზე მთელ საქართველოში ანთებს წმინდა სანთელსა და ჭლოცავს კვალს გთილ ანგელოზისას...

ამ საიდუმლო და დიად ძაღას სულ უბრძლო სხელი ჭქვიან: ჩვეულება. მხოლოდ ეს აერთებს და ამოძრავებს საზოგადოებას! და თუ ვისმეს ჩვენი ჩვეულება არ მოსწონს, თავისი ჩვეულება გვასწავლოს, დაგვანახვოს, თუ აბადია ხეირიანი ზნე და ადათი!

მაგრამ იცოდეს უველამ, რომ სხვაფრივ შეერთება და „ამოძრავება ხალხისა“ — ან მასხარაობა და ტყუილი

**ს ა ტ რ ვ ო ს**

(გუძღენი X-ს)

გიჟო, მოეკარ ამ გულს ანთებულს, ეს აცისკროვნებს ჩვენს იღვალსა, და მაშინ მხოლოდ შესისხლობორცება ჩააქრობს ერთად აღგზნებულ ალსა.  
 ნუ, ნუ მიმირბი, ცელქო, ნუ ურჩობ, ნუ ხარ გიჟმაჟი, მოუსვენარი! მომიახლოვდი, შე ჯადოსანო, მომიკვდა გული ტიალ-ვერანი!..  
 ნუ თუ არ განსოვს შე ცუგრუმელოვ, ერთი-ერთმანერთს, რომ ვეხვეოდით, — თავისუფლებით გატაცებულნი, მწარეს და სიტკბოს ერთად რომ ვგრძნობდით!..  
 მაინც, ნუ შფოთავ, მტრედო ღულუნავ, გამოცქრილდი, მომეკარ მკერდზე, შეერთებულნი, ჩაკონებულნი, ერთად დავედოთ ჩვენ სამსხვერბლოზე! მაშინ ხომ, ჩემო სულოზედ უტკბესო, რას ვაქნევთ ხალხის წყევ-კრულვასა... მითხარი — ნეტა ვინ შეაჩერებს ქვეყნის წარა-მარ ტრიალ- ბრუნვასა!..  
 მომიახლოვდი, მო, ჩემო ღმერთავ, გამომიწოდე მომეცი ხელი, მანამ ცოცხალივარ — კუბოს კარამდე ვიქნები მუდამ შენი მლოცველი!..  
**ნელიკო.**

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.